საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/4083
28/06/2021

4083-09-2-202106281440

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის

აღმასრულებელ დირექტორს ქალბატონ ეკა ურუშაძეს

ასლი: ქალბატონ ლია თოდუას

#3-739 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ტექნიკური რეგლამენტის - ზოგიერთი გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიების პრევენციის, კონტროლისა და აღმოფხვრის წესის შესახებ საქართველოს მთვრობის 2016 წლის #600 დადგენილების თანახმად, 2020 და 2021 წლების სახელმწიფო კონტროლის პროგრამის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში ტარდება საეჭვო კლინიკის ნიშნების მქონე მსხვილფეხა პირუტყვის გამოკვლევა ღრუბლისებურ ენცეფალოპათიაზე.

ქვეყანაში მოქმედ ცხოველთა სასაკლაოებში ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ცხოველთა დაკვლის შემდგომ განსაკუთრებული რისკის მასალიდან ნიმუშების აღება და მათი ლაბორატორატორიული კვლევა 2020 წელს არ განხორციელებულა, ვინაიდან ლაბორატორიებს არ გააჩნდათ საკვლევი მეთოდების აკრედიტაცია.

2021 წლის მეორე ნახევრიდან იგეგმება ცხოველთა სასაკლაოებში განსაკუთრებული რისკის მასალის საკვლევი ნიმუშების აღება და მათი გადაცემა სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიისათვის.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia
ტელ/Tel: (+995 32) 91 91 67
ფაქ/Fax: (+995 32) 91 91 65
www.nfa.gov.ge
info@nfa.gov.ge

#3-739

15 ივნისი 2021

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

თემა: გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიის მონიტორინგის ანგარიში

მოგეხსენებათ, რომ 2020 წლიდან ამოქმედდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის №600 დადგენილება, რომელიც სურსათის ეროვნულ სააგენტოს ავალებს გადამდები ღრუბლისებრი ენცეფალოპათიის აქტიურ და პასიურ მონიტორინგს და შესაბამისი წლიური ანგარიშების მომზადებასა და წარდგენას.

გთხოვთ მოგვაწოდოთ აღნიშნული დადგენილების განხორციელების მიზნით მომზადებული ყველა ანგარიში.

მადლობთ წინასწარ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პასუხი გამოქვეყნდება asocireba.ge ვებგვერდზე და გამოყენებული იქნება საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების მაჩვენებლების გაანგარიშებისთის.

პატივისცემით

ეკა ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი

საკონტაქტო პირი: ლია თოდუა, მობ: 599577959, ელ-ფოსტა: liatodua@csrdg.ge